01/12/2025

MES 4 25 0001703588

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 17.11.2025 წ;
სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 17:45 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
თეა ბაქრაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
მაკა მაისურაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსო, საბჭოს წევრი;
მარინე ბაიდაური - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნათელა ლურსმანაშვილი - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი/სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო დვალიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა თარალაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“:
ნინო ცომაია - გაერთიანების დირექტორი;
ა(ა)იპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დაბა თიანეთს N2 სა ბავშვო ბაგა-ბაღი“:
მარინე კვნიწაშვილი - ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი;
ა(ა)იპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღი“:
ნაირა თოთიაური- ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი.

2. ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი:
მარიამ გოგობერიშვილი - გაერთიანების დირექტორი;
ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N3 განყოფილება:
ქეთევან შეყლაშვილი - განყოფილების გამგე;
ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი კორბო ულის (სისვაძეების) განყოფილება:
თამარ სადუნიშვილი - განყოფილების გამგე;

ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის, საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელ მერჯევი ს განყოფილება:
ნინო ხარშილაძე - განყოფილების გამგე.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება (დაბა თიანეთს N2 საბ ავშვო ბაგა-ბაღი):
მაკა ტუკვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ხათუნა წერეთელი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მარინე ზაზაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება (სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღი):
მაკა ტუკვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ხათუნა წერეთელი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მარინე ზაზაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი (N3 განყოფილება):
ნუცა გელაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
მაია ჭანკვეტაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ბესიკ მარგველაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
თამარ ჭონიშვილი - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი (საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი კორბო ულის (სისვაძეების) განყოფილება):
ნუცა გელაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
მაია ჭანკვეტაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ბესიკ მარგველაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
თამარ ჭონიშვილი - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი (საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევი ს განყოფილება):

ნუცა გელაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
მაია ჭანკვეტაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ბესიკ მარგველაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
თამარ ჭონიშვილი - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2025 წლის 17 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 13:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებ“-ის დაბა თიანეთს N2 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებ“-ის სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N3 განყოფილების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი კორბოულის (სისვაძეების) განყოფილების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის განყოფილების ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების (დაბა თიანეთს N2 სა ბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების, დაბა თიანეთს N2 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 და 18 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის გასახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში, აქტივობათა კრებული. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 45. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 45 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტში შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველი ფოტო - მასალას. ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის განხორციელების დროს გამოიკვეთა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა - მშობლების აღიარება თანამშრომელთა ღვაწლისა, რომელიც შექმნეს და გამოსახეს ბანერზე ბაღის ყველა თანამშრომლის სახელის მითითებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, რონა პერტიამ კითხვით მიმართა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს თუ რა ეტაპზე იმყოფებოდნენ „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობების წარმოდგენასთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულება თაობაზე.

გაერთიანების დირექტორმა, ნინო ცომაიამ, განმარტა, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება დაწყებულია, თანამშრომლების მხრიდან წარმოადგენილია შესაბამისი დოკუმენტი, ამ დოკუმენტის წარომდგენასთან ერთად მიმდინარეობას სხვა საკითხებზე ზრუნვაც.

საბჭოს წევრმა, ნანა ათუაშვილი დაინტერესდა სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებით არსებულ ხარვეზზე. ითხოვა დამატებით განმარტება თუ რა ტიპის დარღვევა გამოიკვეთა.

სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტმა, მანანა ჭიჭინაძემ განმარტა, რომ - მექანიზმში არასწორად იყო მითითებული, რომ დაწესებულებას ჰქონდა ცენტრალური კანალიზაციის სისტემა რეალურად კი - ჰქონდათ სასენიზაციო ორმო. აქედან გამომდინარე

საჭიროა მექანიზმში გასწორდეს ჩანაწერი. აღნიშნულის შესახებ ექსპერტის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია, ხოლო დაწესებულებამ ხარვეზის გამოსასწორებლად წარმოდგინა შესაბამისობის გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:37
დასრულების დრო -13:54

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების (დაბა თიანეთს N2 საბავშვო ბაგა-ბაღის) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 45-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებას (დაბა თიანეთს N2 საბავშვო ბაგა-ბაღი), 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 45-ით.

საბჭომ არაუგვიანეს 2026 წლის 30 სექტემბრისა დაწესებულებას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან მიმართებით განუსაზღვრა რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების (სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეკატერინე ლეჟავამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 და 20 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის გასახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში, აქტივობათა კრებული. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 45. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 45 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტში შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველი ფოტო - მასალას. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკად შეფასდა - ისეთი ძველი ნივთების განთავსება ჯგუფურ ოთახში, როგორიც არის მაგალითად აკვანი, რაც აღსაზრდელებს ისტორიულ ფესვებთან დააკავშირებდა. ექსპერტმა ხაზი გაუსვა დაწესებულების ტერიტორიაზე უფუნქციო შენობა, რომელიც სავარაუდოდ უნდა შემოიფარგლოს, უსაფრთხოების მიზნით, სახურავი დახურული იყო აზბესტის შემცველი მასალით.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავამ კითხვით მიმართა დაწესებულებას აზბესტით გადახურული შენობა-ნაგებობის შესახებ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით დაწესებულებას უკვე ჰქონდა თუ არა გადადგმული ქმედითი ნაბიჯები.

გაერთიანების დირექტორმა, ნინო ცომაიამ, განმარტა, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება დაწყებულია, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაიგზავნა წერილი აღნიშნული შენობის დემონტაჟის მოთხოვნაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, თეა ბაქრაძე დაინტერესდა ბავშვების სათამაშო სივრცე იყო თუ არა გლუვზედაპირიანი, რბილი მასალით მოპირკეთებული.

გაერთიანების დირექტორმა, ნინო ცომაიამ, აღნიშნა, რომ ეზოში არის ბუნებრივი საფარი, რომელზეც განთავსებულია ბავშვების სათამაშო სივრცეები. ხოლო რაც შეეხება ეზოს რეაბილიტირებას, მუნიციპალური განვითარდების ფონდის მიერ იგეგმება ეზოს რეაბილიტაცია და შესაბამისად აღჭუვილი იქნება თანამედოვე ტიპის ატრაქციონებით.

საბჭოს წევრმა ნანა ათუაშვილმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა დაწესებულების შემოღობვასთან დაკავშირებით.
გაერთიანების დირექტორმა, ნინო ცომაიამ განმარტა, რომ დაწესებულების ღობის რეაბილიტირებისათვის იგეგმება ტენდერის გამოცხადება.

საბჭოს წევრმა, მარინე ბაიდაურმა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ჰქონდა თუ არა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შესაბამის სამსახურთან მიწერილობა.

გაერთიანების დირექტორმა, ნინო ცომაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს მზად აქვს სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწყებულია მუშაობა.

საბჭოს მდივანი, თამარ ჩიკვილაძე დაინტერესდა სეზონური მენიუების საკითხით. ასევე, იყო თუ არა დანერგილი HACCP დაწესებულების სტატუსის მაძიებელში.

გაერთიანების დირექტორმა, ნინო ცომაიამ განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა რამდენიმე წელია რაც დაინერგა დაწესებულების სტატუსის მაძიებელში.

კვების დარგის ექსპერტმა, მარინე ზაზაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტებიდან გამომდინარე ექსპერტების მიერ არ განხორციელებულა HACCP -თან დაკავშირებული საკითხის შესწავლა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს დამატებით შეკითხვები აღარ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:20
დასრულების დრო - 14:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა **ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების (სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღის) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 45-ით განსაზღვრის საკითხი.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებას (სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 45-ით.

საბჭომ არაუგვიანეს 2026 წლის 30 სექტემბრისა დაწესებულებას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან მიმართებით განუსაზღვრა რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N3 განყოფილების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეკატერინე ლეჟავამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნუცა გელაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N3 განყოფილებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი

განხორციელდა 2025 წლის 5-6 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის გასახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 43. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 43 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ნუცა გელაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ მეორე, მესამე სტანდარტებში შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველი ფოტო - მასალას. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკად შეფასდა - სანიტარულ - ჰიგიენურ ნორმების მიმართულებით დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილია მტკიცეულება: „ქვიშის ანალიზი ჭიის კვერცხებზე“. რომელიც ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, მეტყველებს დაწესებულების პერსონალის მაღალ პასუხისმგებლობასა და აღსაზრდელების ჯანმრთელობაზე ზრუნვის საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელის ფინანსურ რესურსში ასახული იყო თუ არა კურიკულუმის განსახორციელებლად საჭირო რესურსების საკითხი.

ექსპერტმა ნუცა გელაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წამოდგენილი ბიუჯეტის არც ერთ მუხლში იკითხებოდა ინფორმაცია უშუალოდ კურიკულუმთან დაკავშირებული ფინანსური რესურსის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზუნველყოფის გეგმა.

საბჭოს წევრმა, ნანა ათუაშვილმა იკითხა ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების ჩართულობაზე.

გაერთიანების დირექტორმა, მარიამ გოგობერიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწყებულია ერთობლივი მუშაობა.

საბჭოს წევრმა ნინო ლაბარტყავამ დაინტერესდა პერსონალის პროფესიული ხელშეწყობის განვითარებასთან დაკავშირებით.

გაერთიანების დირექტორმა, მარიამ გოგობერიშვილმა აღნიშნა, რომ თანამშრომელთა პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის დაწესებულება გეგმავს თანამშრომელთათვის სხვადასხვა ტრენინგების უზრუნველყოფას.

საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე დაინტერესდა მენიუსთან დაკავშირებით არსებულ საკითხზე. ვინაიდან დასკვნაში მითითებულია ხარვეზები. დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მხრიდან წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა და ასევე, თან აქვს დართული მენიუს ავტორის არგუმენტირებული პოზიცია.

ექსპერტმა ბესიკ მარგველაშვილმა ახსნა ხარვეზის მიზეზები.

ასევე, საბჭოს თავჯდომარის თანხმობით სიტყვა მიეცა მენიუს ავტორს, რომელმაც ისაუბრა კვების რეგლამენტისა და ავტორიზაციის სტანდარტის რიგ საკითხებში შეუსაბამობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:30
დასრულების დრო - 15:48

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა **ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (N3 განყოფილების) ავტორიზაციისა და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 43-ით განსაზღვრის საკითხი.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღს (N3 განყოფილებას) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 43-ით.

საბჭომ რაუგვიანეს 2027 წლის 07 სექტემბრისა დაწესებულებას ავტორიზაციის I, II, IV სტანდარტთან მიმართებით განუსაზღვრა რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი კორბოულის (სისვაძეების)განყოფილების) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეკატერინე ლეჟავამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნუცა გელაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი კორბოულის (სისვაძეების) განყოფილებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 9-10 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის გასახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 45. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 45 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ნუცა გელაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ მეორე, მესამე სტანდარტებში შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველი ფოტო -

მასალას. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კვების მიმართულებით ხარვეზები იდენტური იყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სამივე ბაღთან მიმართებით. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკად შეფასდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ სპეციალურ სადგომში შინაური ცხოველების ყოლა, ვინაიდან იგი ხელს უწყობს ბავშვებში ემპათიის, ზრუნვის და აშ. უნარების გამომუშავებას.

საბჭოს წევრი, თეა ბაქრაძე დაინტერესდა წყალმომარაგების ხარვეზთან დაკავშირებული საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა, მარიამ გოგობერიშვილმა აღნიშნა, რომ ხარვეზის აღმოსაფხვრელად აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებელის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:15
დასრულების დრო - 16:23

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი კორბოულის (სისვაძეების) განყოფილების) ავტორიზაციისა და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 45-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღს (საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი კორბოულის (სისვაძეების) განყოფილებას) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 45-ით.

საბჭომ არაუგვიანეს 2027 წლის 07 სექტემბრისა დაწესებულებას ავტორიზაციის I, II,IV სტანდარტთან მიმართებით განუსაზღვრა რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევ ის განყოფილების)ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეკატერინე ლეჟავამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნუცა გელაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის განყოფილებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 7-8 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის გასახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 23. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 23 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ნუცა გელაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ მეორე, მესამე სტანდარტებში შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველი ფოტო - მასალას. სევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კვების მიმართულებით ხარვეზები იდენტური იყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სამივე ბაღთან მიმართებით. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკად შეფასდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პერსონალისა და მშობლების აქტიური ჩართულობით

მრავალფეროვანი რესურსის შექმნა და გამოყენება. მათ მიერ შექმნილი რესურსი ადაპტირებულია კონკრეტულ თემებზე, სიტყვებზე, რაოდენობაზე, გეომეტრიულ ფიგურებზე და ა.შ. ისინი ხშირად კომპლექსურად ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციას და მრავალმხრივად გამოიყენება. ასევე, საბავშვო ბაღს აქვს მაკულატურის შეგროვების მექანიზმი, გამოყოფილია ყუთი სადაც ბავშვები ჩაყრიან მაკულატურას, შეგროვების პროცესში აქტიურად ჩართავენ მშობლებსაც. შემდეგ მოხდება მაკულატურის ჩაბარება/ გადაცვლა რესურსში, კერძოდ, ბურთებში, წიგნებში და ა.შ.
დაწესებულები საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა ეზოში გაშენებული ბოსტანიც. ბავშვებს ასწავლიან მცენარეების სიცოცხლის ციკლს; თესვის, მორწყვის, ზრდის პროცესს; დააკვირდებიან ბოსტნეულს ყოველდღიურად, ბავშვს უვითარდება ეკოლოგიური ცნობიერება, რომ საკვები ბუნებრივად მოდის, მას უნდა ზრუნვა, სითბო. უვითარდებათ პასუხისმგებლობა.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ასაკობრივ ჯგუფებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციით.

ექსპერტმა ნუცა გელაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შერეული ასაკობრივი ჯგუფების დაკომპლექტება. რის შესახებაც ექსპერტის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ კანონის თანახმად შესაძლებელია შერეული ასაკობრივი ჯგუფი შედგებოდეს მხოლოდ მომიჯნავე ჯგუფებისგან. აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად დაწესებულებას აქვს სივრცე, იმისთვის, რომ შეიქმნას ორი ჯგუფი, სადაც განთავსდება მომიჯნავე ასაკობრივი კატეგორია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ დასვა დამაზუსტებელი კითხვა, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციასთან დაკავშირებით, ვინაიდან დაწესებულებას პროცედურა არ ჰქონდა გაწერილი.

ექსპერტმა ნუცა გელაშვილმა განმარტა, რომ დოკუმენტურად პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საკითხში გამოყოფილი პირის შესახებ არ იკითხებოდა პროცედურულად, თუ რა დროს და როგორ იქნება აღნიშნული საკითხი უზრუნველყოფილი. ამიტომ, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს მიეცა რეკომენდაცია დოკუმენტში პროცედურული ნაწილის სრულყოფილად ასახვის შესახებ.

გაერთიანების დირექტორმა, მარიამ გოგობერიშვილმა გააკეთა განმარტება, რომ საბავშვო ბაღის სამედიცინო პერსონალის ფუნქცია-მოვალეობის გაწერასთნ დაკავშირებით და სამედიცინო სივრცის აღჭურვის შესახებ ელიან დაანონსებულ სიახლეს და შესაბამისად უზრუნველყოფენ ხარვეზის აღმოფხვრას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:15
დასრულების დრო - 17:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის განყოფილების) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 23-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღს (საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის განყოფილება) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 23-ით.

საბჭომ არაუგვიანეს 2027 წლის 07 სექტემბრისა დაწესებულებას ავტორიზაციის I, II, IV სტანდარტთან მიმართებით განუსაზღვრა რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 17:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე